ქვეყნის საკორდინაციო საბჭოს 82-ე სხდომა *თარგმანი ინგლისურიდან*
9 მარტი, 2016 წ
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

<u>მონაწილეები:</u>

#	ქვეყნის საკორდინაციო საბჭოს წევრები	
1	დავით სერგეენკო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქვეყნის საკორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე
2	თამარ გაბუნია	"უნივერსითი რისერჩ კო" (URC) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საქართველოში ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის დირექტორი ქსს-ს თავმჯდომარის მოადგილე
3	ამირან გამყრელიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი გლობალური ფონდის გრანტების ძირითადი მიმღები ორგანიზაცია
4	ნინო ბადრიძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორის, ბ-ნი თენგიზ ცერცვაძის სახელით ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
5	ზაზა ავალიანი	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
6	ხათუნა თოდაძე	ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
7	თამაზ	განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

	მარსაგიშვილი	
8	არჩილ თალაკვაძე	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გლობალური ფონდის გამგეობის წევრი აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის წარმომადგენლობიდან
9	თამარ სირბილაძე	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების დეპარტამენტის დირექტორი საზედამხედველო კომიტეტის (OC) წევრი
10	რუსუდან კლიმიაშვილი	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი
11	ლელა ბაქრაძე	გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი
12	ნინო ყოჩიშვილი	საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ელჩის, ბ-ნი იანოშ ჰერმანის სახელით
13	ცისანა შარტავა	საქართველოს საპატრიარქოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის, არქიმანდრიტ ადამის-ვახტანგ ახალაძის სახელით
14	ზურაბ ვადაჭკორია	სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი
15	ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
16	კონსტანტინე ლაბარტყავა	არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“, გამგეობის თავმჯდომარე ქვე-ქვე კონტრაქტორი ორგანიზაცია
17	ცისანა სალია	არასამთავრობო ორგანიზაცია „შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის“ დირექტორის ქ-ნ იზოლეტა ბოდოკიას სახელით ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
18	მაია ბუწაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი (HRU), დირექტორი

19	კახა კვაშილავა	არასამთავრობო ორგანიზაცია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“ (GHRN), გამგეობის თავმჯდომარე ქვე-კონტრაქტორი ორგანიზაცია
20	თამარ ბორცვაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია “მსოფლიო ექიმები” უფროსი ოფიცერი ადვოკატირების საკითხებში
21	ლელა წაქაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია „გამარჯვებულთა კლუბი“, დამფუძნებელი
22	ნიკოლოზ მირზაშვილი	ყოფილი ტბ პაციენტი, პაციენტთა კავშირი
23	ნათია ლოლაძე	არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს წითელი ჯვარი, პრეზიდენტი
მოწვეული პირები		
24	ნინო ბერძული	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
25	ირაკლი კაციტაძე	ადგილობრივი ფინანსური აგენტი (LFA), გუნდის ხელმძღვანელი
26	ირმა ხონელიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC&PH), გენერალური დირექტორის მოადგილე გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული (GFATM PIU), დირექტორი
27	ქეთევან სტვილია	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (NCDCPH), გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული (GFATM PIU), აივ პროგრამის მენეჯერი
28	ალექსანდრე ასათიანი	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი (NCDCPH, GFATM HIV M&E Officer)
29	გიორგი კუჭუხიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების

		განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი (NCDCPH, GFATM TB M&E Officer)
30	ნინო ოსეფაიშვილი	პაციენტთა კავშირი
31	ოლგა ფომინა	ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი (EHRN), გლობალური ფონდის პროგრამის მენეჯერი
32	მადლენა ხუციშვილი	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრობის კანდიდატი
33	მაგდა კოსტავა	ჰერა XXI
34	პაატა საბელაშვილი	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრობის კანდიდატი, MSM წარმომადგენლობა
35	ირინე ჯავახაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველო
36	თამთა დემურიშვილი	საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი
სამდივნო		
37	ირინა გრძელიძე	აღმასრულებელი მდივანი
38	ნათია ხონელიძე	ადმინისტრაციული ასისტენტი

<u>**დღის წესრიგი**</u>

15:00 – 15:10	სხდომის გახსნა/დღის წესრიგის დამტკიცება/ ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს 81-ე სხდომის ოქმის დამტკიცება ბ-ნი დავით სერგეენკო - ქვეყნის საკორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
15:10 – 15:15	ინტერესთა კონფიქტის გამჟღავნების თხოვნით წევრებისადმი მიმართვა სამდივნო
15:15 – 15:30	აივ და ტბ პროგრამებს შორის თანხების გადანაწილების გადახედვა/გადაწყვეტილების მიღება

	ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეულის დირექტორი
15:30 – 15:40	საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში ქ-ნი ირინა გრძელიძე - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, აღმასრულებელი მდივანი
15:40– 15:55	აივ-ის და ტბ გრანტების განხორციელების სტატუსი ქ-ნი ირმა ხონელიძე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეულის დირექტორი
15:55 – 16:10	პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის ჩამოყალიება ქ-ნი თამარ გაბუნია - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
16:10 – 16:30	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის განახლება/განაცხადების მიმოხილვა • დისკუსია/კითხვები და პასუხები/საბოლოო შეთანხმება პროცედურაზე ქ-ნი ირინა გრძელიძე - ქვეყნის საკორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
16:30 – 16:35	კენჭისყრა
16:35 – 16:55	• მე-7 პერიოდის დეშბორდი ბ-ნი ალექსანდრე ასათიანი - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მონიტორინგისა და შეაფსების ოფიცერი ბ-ნი გიორგი კუჭუხიძე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

	• საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციების წარდგენა ქ-ნი ირინა გრძელიძე - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო, აღმასრულებელი მდივანი
16:55 – 17:10	გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამა - ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ! აივ-ის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის პროგრამების საერთაშორისოდან ადგილობრივ დაფინანსებაზე გადასვლის კონტექსტში ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი (EHRN), გლობალური ფონდის პროგრამის მენეჯერი
17:10- 17:20	სხვა საკითხები/განცხადებები
17:20	სხდომის დახურვა

<u>აბრევიატურების სია:</u>

CBO - Community Based Organization, თემზე დაფუძნებული ორგანიზაცია

CN – Concept Note, კონცეფციის დოკუმენტი

CT – Computer Tomography, კომპიუტერული ტომოგრაფია

EHRN – Eurasian Harm Reduction Network, ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი

GAG –Grant Approval Committee, გრანტების დამტკიცების კომიტეტი

GFATM – Global Fund to Fight AIDS Tuberculosis and Malaria, შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი

GHRN - Georgia Harm Reduction Network, საქართველოს ზიანის შემცირების ქსელი

HIV - Human Immunodeficiency Virus, აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის სინდრომი

KAP - Key Affected Population, ძირითადი დაზარალებული ჯგუფები

LFA – Local Fund Agent, ადგილობრივი ფინანსური აგენტი

MSM - Men having sex with men, მამაკაცები, რომლებიც სქესობრივ კავშირს ამყარებენ მამაკაცებთან

NCDCPH - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

NFM – New Funding Mechanism, დაფინანსების ახალი მექანიზმი

NGO - Non-governmental organization, არასამთავრობო ორგანიზაცია

OC – Oversight Committee, საზედამხედველო კომიტეტი

PAAC - Policy and Advocacy Advisory Council, პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

PLHIV – People living with HIV, აივ-ით მცხოვრები პირები

PUDR – Progress Update and Disbursement Request, განხორციელების სტატუსი და გადარიცხვის მოთხონა

SLD – Second Line Drug, მეორე რიგის პრეპარატი

TERG – Technical Evaluation Reference Group, ტექნიკური შეფასების რეფერენს-ჯგუფი

TB – Tuberculosis, ტბ-ტუბერკულოზი

TBA – Time-bound Action, დროში გაწერილი ქმედება

TPP – Tuberculosis Prevention Project, ტუბერკულოზის პრევენციის პროექტი

დავით სერგეენკო – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა მოახსენა მათ მობრძანებისათვის. თავმჯდომარემ მიმოიხილა დღის წესრიგი და მიმართა დამსწრეებს, არსებობის შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნების და ინტერესთა კონფლიქტის ფორმის შევსების თხოვნით. თავმჯდომარემ სთხოვა აუდიტორიას, არსებობის შემთხვევაში, გამოეთქვათ შენიშვნები/საწინააღმდეგო მოსაზრება საბჭოს 82-ე სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.

საბჭოს 82-ე სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა; საბჭოს 81-ე სხდომის ოქმი დამტკიცდა.

ინტერესთა კონფლიქტის ფორმა შევსებულ იქნა წევრების მიერ და ინახენა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ოფისში. ქ-ნი იზოლეტა ბოდოკიას წარმომადგენელმა განაცხადა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა განსახილველ საკითხთან - ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის განახლება - დაკავშირებით, გამომდინარე იქიდან რომ ქ-ნი იზოლეტა ბოდოკია წარმოადგენს საბჭოს წევრობის აპლიკანტს.

დავით სერგეენკო - სიტყვა გადასცა **ქ-ნ ირმა ხონელიძეს.**

ირმა ხონელიძე – შეახსენა აუდიტორიას დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში რესურსების გადანაწილების შესახებ გლობალური ფონდის 2014 წლის მარტის

წერილის შესაბამისად, პროგრამების საბიჯეტო გადანაწილების შესახებ კონცეფციის დოკუმენტების შემუშავების პროცესში მიღებული გადაწყვეტილების და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძვლების თაობაზე. აქვე აღნიშნა, რომ საგრანტო მოლაპარაკებების ეტაპზე გამოიკვეთა გლობალური ფონდის ჯამური პროგრამული დაფინანსების ფარგლებში შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამებზე გამოყოფილი თანხების განაწილებაში ცვლილების საჭიროება, რომელიც განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა: შიდსის ახალი საგრანტო პროგრამის დაწყების გადავადებამ და მოქმედების ვადის გახანგრძლივებამ 2019 წლის ივლისამდე, რამაც გამოიწვია პროგრამის მოცვის ინდიკატორების გაფართოება, როგორც პრევენციის, ასევე მკურნალობის კუთხით და შესაბამისად, დაფინანსების ახალი მოდელის ფარგელებში აივ პროგრამის დამატებითი დაფინანსების საჭიროება; გლობალური ფონდის ტუბერკულოზის მიმდინარე პროგრამაში მნიშვნელოვანმა დანაზოგმა, რომელიც ძირითადად წარმოიშვა ტუბერკულოზის სამკურნალო მეორე რიგის მედიკამენტების შესყიდვისას მიღებული დანაზოგით; დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში ტუბერკულოზის პროგრამისათვის დამატებითი დაფინანსების საჭიორების არარსებობამ. ქ-ნმა ირმა ხონელიძემ წარადგინა შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამებს შორის გამოყოფილი დაფინანსებების განაწილების შემოთავაზებული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს აივ პროგრამისათვის დამატებით ალოკაციას 804,872 აშშ დოლარის ოდენობით. რაც არ იწვევს არსებით ცვლილებას პროგრამებს შორის დაფინანსების საერთო ოდენობის გადანაწილებაში (შეადგენს თანხის საწყისი განაწილების 1%).

კომენტარი: დეტალური ინფორმაცია პროგრამული გადანაწილების ცვლილების საფუძვლების შესახებ საბჭოს წევრებს მიეწოდათ სხდომამდე.

დავით სერგეენკო – დისკუსია გახსნილად გამოაცხადა.

ნიკოლოზ მირზაშვილი - დააფიქსირა შემოთავაზებული განაწილების საწინააღმდეგო მოსაზრება. მან განაცხადა, რომ ტუბერკულოზის პროგრამაში არსებობს მრავალი მწვავე პრობლემა, როგორიცაა მკურნალობის გვერდითი მოვლენების მართვა, კომპიუტერული ტომოგრფიის გამოყენების შესაძლებლობის ნაკლებობა, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ნაკლებობა, რაც დამატებით დაფინანსებას მოითხოვს. ბ-ნმა ნიკოლოზმა გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ პროგრამებს შორის შემოთავაზებული გადანაწილება უარყოფითად აისახება ტბ პროგრამაზე.

დავით სერგეენკო – მადლობა გადაუხადა ბ-ნ ნიკოლოზ მირზაშვილს. მან წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების ძირითადი პრინციპები და მოუწოდა აუდიტორიას აქტიური განხილვისკენ.

თამარ გაბუნია – კიდევ ერთხელ მიესალმა პაცინტთა კავშირის ჩართულობას ქსს-ს აქტივობებში. თავმჯდომარის მოადგილემ განმარტა, რომ სამსჯელოზე გამოტანილი

თანხების გადანაწილება ეფუძნება აბსორფციის შესაძლებობის ანალიზს და არ შეიცავს რისკსებს ტბ პროგრამისათვის.

დავით სერგეენკო – მიმართა აივ-ინფიცირებულთა თემის წარმომადგენლებს მოსაზრების გამოხატვის თხოვნით.

მადლენა ხუციშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია ჰერა XXI-ს მიერ დაფუძნებული სათემო ორგანიზაცია პაპა-ს სახელით მიესალმა აუდიტორიას. მან განაცხადა, რომ საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება პროგრამებს შორის თანხების სამართლიანი გადანაწილება.

ირმა ხონელიძე – მიესალმა პაციენტთა ორგანიზაციების ინტერესს გამოყოფილი თანხების განაწილების საკითხში ინტერესს და პოზიტიური შეფასება მისცა თავად პაციენტების ქსს-ს აქტივობებში ჩართულობის გააქტიურებას. მან ასევე გამოხატა მადლირების გრძნობა მათი ტუბერკულოზის კონცეფციის დოკუმენტის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის გამო. რაც შეეხება, პაციენტთა კავშირის წარმომადგენლის მიერ გამოთქმულ შეშფოთებას, ქ-ნ ირმამ განაცხადა, რომ პაციენტთა ორგანიზაციების გასაძლიერებლად და პაციენტთა თემების მხარდასაჭერად ტუბერკულოზის კონცეფციის დოკუმენტის მე-3 ამოცანის ფარგლებში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი რესურესები ტუბერკულოზის ეფექტური კონტროლის მხარდამჭერი გარემოს და სისტემების შექმნის მიზნით.

ქ-ნ ირმა ხონელიძემ განმეორებით განმარტა, რომ შემოთავაზებული განაწილება არ შეიცავს არანაირ რისკს ტბ პროგრამის განხორციელებისათვის და მიმართულია აივ გრანტის მნიშვნელოვანი სერვისების და პროგრამული აქტივობების ადექვატურ დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

დავით სერგეენკო - მადლობა მოახსენა აუდიტორიას დისკუსიაში მონაწილებიოსათვის და დააყენა საკითხი კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

სხდომას ესწრებოდა ქსს-ს 23 წევრი:

21 ხმა - შემოთავაზებული ცვილების სასარგებლოდ

2- საწინააღმდეგოდ. კენჭისსყრაში მონაწილეობაში თავი არც ერთ წევრს არ შეუკავებია.

გადაწყვეტილება შეტანილ იქნეს ცვლილება შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამებზე გამოყოფილი თანხების განაწილებაში 2016-2019 წლებისათვის მიღებულ იქნა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

დანართი: შიდსისა და ტუბერკულოზის პროგრამებზე თანხების პირვანდელი განაწილების ცვლილების საფუძვლები. საბჭოს 82-ე სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილების დამტკიცების ფორმა.

დავით სერგეენკო - სიტყვა გადასცა **ქ-ნ ირინა გრძელიძეს.**

ირინა გრძელიძე – მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარის არყოფნის გამო წარადგენდა საზედამხედველო კომიტეტის ანგარიშს (პერიოდი - 2015 წლის დეკემბერი - 2016 წლის თებერვალი). ქ-ნმა ირინამ შეახსენა აუდიტორიას, რომ სამდივნოს მიერ საბჭოს წინასწარ მიეწოდა სრული ინფორმაცია საზედამხედველო აქტივობების შესახებ. ანგარიშგების პერიოდში საზედამხედველო კომიტეტის ძირითადი აქტივობები მოიცავს საველე ვიზიტებს ზუგდიდსა და ბათუმში, სადაც მონახულებული იქნა 9 საიტი და მე-7 პერიოდს დეშბორდების ანალიზს. დეშბორდებიდან გამომდინარე რეკომენდაციები აუდიტორიას წარედგინება მოგვიანებით სხდომის მსვლელობისას.

დანართი: საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში (პერიოდი: 2015 წლის დეკემბერი - 2016 წლის თებერვალი)

დავით სერგეენკო – სიტყვა გადასცა **ქ-ნ ირმა ხონელიძეს.**

ირმა ხონელიძე - წარუდგინა წევრებს გლობალური ფონდის გრანტების განხორციელების მიმდინარე სტატუსი. მან განაცხადა, რომ დამატებით დეტალები გაჟღერდება დეშბორდიების წარდგენისას და ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

აივ-ის გრანტი. დოკუმენტაციის პაკეტი, მათ შორის მიღებული გადაწყვეტილება პროგრამებს შორის თანხის განაწილების ცვლილების შესახებ მიეწოდება გლობალურ ფონდს 10 მარტს. გრანტების დამტკიცების კომიტეტის (GAC) სხდომის გამართვა დაგეგმილია აპრილის შუა რიცხვებში. გრანტზე ხელმოწერა მოსალოდნელია 2016 წლის მაისში.

ტუბერკულოზის გრანტი. აუდიტორიის წინაშე წარდგენილ იქნა გლობალურ ფონდში გაგზავნილი ტუბერკულოზის პროგრამის თანხების რეალოკაციის მოთხოვნა. ქ-ნმა ირმამ განმეორებით აღნიშნა თემის დონეზე განხორციელებული პაციენტთა მხარდაჭერაზე მიმართული აქტივობების მნიშვნელობა და განაცხადა, რომ აღნიშნული მიმართულებით ძალისხმევის ინიცირება მოხდება ტბ გრანტის გაგრძლების პერიოდში. ტბ გრანტზე ხელმოწერა მოსალოდნელია 2016 წლის ბოლოს. ქ-ნმა ირმა ხონელიძემ მიაწოდა აუდიტორიას ტბ გრანტის 6-თვიანი გაგრძელების დეტალები.

შენიშვნა: გრანტების განხორციელების შესახებ დეტალური შეტყობინება, მათ შორის შინაარსობრივი დოკუმენტები ქსს-ს წევრებს მიეწოდათ სხდომამდე.

დავით სერგეენკო - გადასცა სიტყვა **ქ-ნ თამარ გაბუნიას.**

თამარ გაბუნია – წარუდგინა საზოგადოებას პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის ჩამოყალიბების მიმდინარე სტატუსი. კომიტეტის საქმიანობის სამუშაო აღწერილობა ფართოდ გავცელდა როგორც ქსს-ს წევრებს, ასევე არაწევრებს შორის განხილვისათვის და კომენტარებისათვის. დოკუმენტი წარდგენილ იქნა 2016 წლის 17 თებერვალს გამართულ სამოქალაქო საზოგადეობის ფორუმზე. წარმომადგენლობების მიერ მოხდა კომიტეტის წევრობის კანდიდატების ნომინირება. თავმჯდომარის მოადგილემ წარუდგინა წევრებს პოლიტიკისა და ადვოკატირების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობის ასპექტები.

ქ-ნმა თამარ გაბუნიამ დააყენა კენჭისყრაზე პოლიტიკისა და ადვოკატირების კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცების საკითხი. კომიტეტის შემადგენლობა თანდართული სიის მიხედვით ერთხმად დამტკიცდა ქსს-ს მიერ.

დანართი: პოლიტიკისა და ადვოკატირების კომიტეტის წევრთა სია.

თამარ გაბუნია - გადასცა სიტვა **ქ-ნ ირინა გრძელიძეს.**

ირინა გრძელიძე - წარუდგინა საზოგადოებას ქსს-ს შემადგენლობის განახლების მეორე ფაზის პროცესი. ახალი განცხადების ტექსტი შეთანხმდა ქსს-სთან და განთავდა ვებ-გვერდებზე (www.jobs.ge; ქსს-ს ვებ-გვერდი). შესაბამისი ბმულები გაზიარდა ქსს-ში და შესაბამის ორგანიზაციებში დაინტერესებული მხარეების მიერ ინტერესის გამოხატვის მიზნით. მიღებულ იქნა შემდეგი განაცხადები: აივ-ით დაზარალებული ჯგუფი (MSM) – 1 აპლიკანტი, ბ-ნი პაატა საბელაშვილი, რომელიც არ მოქმედდებს რომელიმე ორგანიზაციის სახელით; არჩევნები მხრდაჭერილ იქნა LGBT საქართველოს მიერ. PLHIV - 1 აპლიკანტი, მადლენა ხუციშვილი; თემზე დაფუძნებული ორგანიზაცია პაპა; აივ-ით დაზარელებული ჯგუფი (სხვა) – 1აპლიკანტი, ქ-ნი იზოლეტა ბოდოკია, აივ/შიდსით დაავადებულ პაციენტთა დახმარების ფონდი. ტუბერკულოზის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციის პოზიციაზე ინტერესი არ იქნა გამოხატული. სამდივნომ გაუზიარა ქსს-ს აპლიკანტების „checklist“ და სრული სააპლიკაციო პაკეტი. ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტის და განახლების კალენდარის შესაბამისად, ქსს-ს ხელმძღვანელობამ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს ქსს-ს წევრობის კანდიდატების ნომინირების თხოვნით. როგორც უკვე ცნობილია წევრებისათვის, ელექტონული შეტყობინების მეშვეობით ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ იქნა საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, ქ-ნ ირინე ჯავახაძის კანდიდატურა, ხოლო სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის, ქ-ნ თამთა დემურიშვილის კანდიდატურა.

შემდეგ, ქ-ნ ირინამ განაცხადა, რომ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში განხორციელებული საკადრო ცვლილებების გამო ქსელი ქსს-ში წარმოდგენილ იქნება გამგეობის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირეტორის მოვალეობის შემსრულებლის, ბ-ნ კახა კვაშილავას მიერ. ბოლოს, ქ-ნმა ირინამ მიმართა აუდიტორიას თხოვნით გამოეთქვათ დამატებითი მოსაზრებები და დაესვათ კანდიდატებისადმი შეკითხვები.

კანდიდატებს ეთხოვათ სხდომის დარბაზის დატოვება განხილვის და კენჭისყრის დროს.

თამარ გაბუნია – დააყენა კენჭისყრაზე ქ-ნი თამთა დემურიშვილის და ქ-ნი ირინე ჯავახაძის გაწევრიანების საკითხი.

საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი, ქ-ნ თამთა დემურიშვილი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ქ-ნ ირინე ჯავახაძე ერთხმად იქნენ არჩეული ქსს-ს წევრებად.

სამოქალაქო სექტორიდან შემოსული განაცხადების ფართო და დეტალურ განხილვისას წევრებმა იმსჯელეს სხვადასხვა წარმომადგენლობებში დანერგილი არჩევის პროცედურების, საბჭოში თითოეული წარმომადგენლობის როლის, კანდიდატების წარმდგენი ჯგუფების წარმომადგენლობითი ხასიათის, დაზარალებული ჯგუფის (სხვა) - დეფინიციასა და ნომინირებული კანდიდატების ლეგიტიმურობის შესახებ

თამარ გაბუნია - კენჭისყრაზე დააყენა ქსს-ში შემდეგი პირების გაწევრიანების საკითხი:

- ქ-ნი მადლენა ხუციშვილი
  პოზიცია: PLHIV
- ბ-ნი პაატა საბელაშვილი
  პოზიცია: აივ-ით დაზარარებული ჯგუფი (MSM)
- ქ-ნი იზოლეტა ბოდოკია
  პოზიცია: ***აივ-ით დაზარარებული ჯგუფი (სხვა)***

ყველა ზემოთ ჩამოთვილი პირი ერთხმად იქნა არჩეული ქსს-ს წევრებად სხდომაზე დამსწრე ყველა წევრის მიერ.

თამარ გაბუნია – განაცხადა, რომ კვლავ ვაკანტური რჩება ტუბერკულოზის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის ადგილი. ამრიგად, ეს ადგილი კვლავ თავისუფალია და კიდევ ერთხელ გამოცხადდება, რადგანაც URC-ის მანდატი

ტუბერკულოზის სფეროში იწურება საქართველოში ტუბერკულლოზის პრევენციის პროექტის დასრულებისთანავე.

აპლიკანტები მოწვეულ იქნენ სხდომათა დარბაზში.

თამარ გაბუნია - მიულოცა ახლად არჩეულ წევრებს, გამოთქვა ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი და სიტყვა გადასცა ბ-ნ ალექსანდრე ასათიანს.

ალექსანდრე ასათიანი - შეახსენა აუდიტორიას წინა სხდომის მსვლელობისას შეთანხმებულ დეშბორდის ანგარიშგების პრონციპების თაობაზე. კერძოდ: სემესტრულ კუმულაციურ ანგარიშგების პრინციპზე გადასვლა.მოხდება დეშბორდის კვარტალური ანგარიშგების პრინციპის შენარჩუნება, კალენდარული წლის პირველ და მესამე კვარტლებში მოხდება ამ უკანასკნელის განმავლობაში დაფიქსირებული მიღწევების ასახვა, ხოლო მეორე და მეოთხე კვარტლების დოკუმენტში მოხდება სემესტრული მიღწევების რეპორტინგი (სემესტრული მიღწევა/სემესტრული სამიზნე), რაც თავის მხრივ სრულ შესაბამისობაში იქნება გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებულ PU/DR (Progress Update And Disbursement Request) დოკუმენტთან. პროგრამული, მენეჯმენტის, ფინანსური და შესყიდვების სექციების ყველა სხვა პირობა და პრონციპი რჩება უცვლელი. ბ-ნმა ასათიანმა წარუდგინა საზოგადოებას მე-7 პერიოდის აივ-დეშბორდის (2015 წლის ოქტომბერი - დეკემბერი) ფინანსური, მენეჯერული და პროგრამული მონაცემები. FSWs, MSM and PWID-ის მოცვის არასრულ შესრულებაზე საუბრისას ბ-ნმა ასათიანმა განაცხადა, რომ ქვე-კონტრაქტორების მხრიდან ფიქსირდება გაუმჯობესება წინა პერიოდებთან შედარებით. მიმდნარეობს უწყვეტი კომუნიკაცია ძირითად მიმღებსა და ქვე-კონტრაქტორებს შორის მაჩვენებლის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. MSM პოპულაციაში ეფექტურად მოქმედი PDI მეთოდოლოგია წარმატებულად დაინერგა კომერციულ სექს-მუშაკ ქალებს შორის თელავში. მოსალოდნელია, მობილური ამბულატორიების შესყიდვამ ხელი შეუწყოს ნიმ-ებს შორის მოცვის გაფართოვებას. გლობალური ფონდის მიერ სამენეჯერო წერილში მოყვანილი შემოთავაზების საფუძველზე ნიმ-ების მოცვის მაჩევენებელი აღარ შეიცავს მეორადი კლიენტების მონაცემებს (კლიენტები, რომლებთან წვდომა განახორციელეს პროგრამის ბენეფიციარებმა და არა „აუთრიჩ“ მუშაკებმა). ბ-ნმა ასათიანმა განაცხადა, რომ გარადამავალი გეგმის შემუშავების დროში გაწერილი ქმედების (TBA) საბოლოო ვადები გაგრძელდა - გლობალურ ფონდთან შეთანხმების საფუძველზე, აივ-ის და ტუბერკულოზის პროგრამების მდგარდობის და გარდამავალი ეტაპის გეგმის შემუშავება დაფინანსდება ამჟამად მოქმედი ტუბერკულოზის გრანტიდან (GEO-T-NCDC). გეგმის შემუშავების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი შემუშავდა და გაზიარდა ქსს-სა და გლობაურ ფონდთან. სერვისის შესყიდვის ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა 25 თებერვალს. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის თანახმად გეგმის საბოლოო ვერსია დასამტკიცებლად მზად უნდა იყოს 2016 წლის

ბოლოსთვის. განახლებული საბოლოო ვადის ფარგლებში სამუშაოს შესასრულებად ყველა აქტივობა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მეთადონის მარაგის გამოყენება, თუმცა კონტრაქტი მომწოდებელთნ უკვე ხელმოწერილია და საპროცედურო საკითხების უმრავლესობა მოგვარებულია. მეთადონის მოწოდება ქვეყანაში მოსალოდნელია მარტის შუა რიცხვებისათვის.

ხათუნა თოდაძე - გამოეხმაურა მეთადონის მარაგის საკითხს და მიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს მეთადონის მარაგის შესაძლო ამოწურვის საწინააღმდეგოდ მიმართულ პრევენციული მექანიზმის დანერგვის თხოვნით.

თამარ გაბუნია - განაცხადა, რომ ქ-ნი ხათუნა თოდაძის მიერ წამოწეული საკითხი განხილულლ უნდა იყოს სამუშაო ფორმატში.

ირინა გრძელიძე - წარუდგინა ქსს-ს მე-7 პერიოდის აივ-დეშბორდთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

1. ინტრავენული ნარკოტიკის მომხმარებელთა შორის აივ პრევენციის პროგრამებით მოცვის ინდიკატორის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი საჭიროებს საზედამხედველო კომიტეტის მხრიდან შემდგომ დაკვირვებას, რათა მოხდეს დანერგილი პრაქტიკისა და მიდგომების შესწავლა, მაგალითად მობილური ამბულატორიების განრიგის როტაციიდან გამომდინარე შედეგებზე დაკვირვება და საჭიროების შემთხვევაში უფრო ეფექტურად დაგეგმვა. ასევე შემოთავაზებულია ადგილზე ვიზიტის განხორციელება საზედამხედველო კომიტეტის ჩართულობით.
   ქსს დათანხმდა წარმოდგენილ რეკომენდაციას. გადაწყდა, რომ საკითხი საჭიროებს დამატებით დაკვირვებას საზედამხედველო კომიტეტის მხრიდან, ვიზიტების ჩატარდება 2016 წლის მაისის ბოლოსთვის.

2. MSM and FSW-ების აივ პრევენციის პროგრამებით მოცვის ინდიკატორის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებელი, ასევე მოითხოვს საზედამხედველო კომიტეტის მხრიდან შემდგომ დაკვირვებას, რისთვისაც მოთხოვნილია თბილისის და რეგიონების მიხედვით მონაცემების დისაგრეგაცია.
   ქსს დაეთანხმა წარმოდგენილ რეკომენდაციას. გადაწყდა, რომ საკითხი საჭიროებს დამატებითი დაკვირვებას საზედამხედევლო კომიტეტის მხრიდან.

3. 1 მილილიტრიანი შპრიცების ხარისხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მომხმარებლებს შორის ჩატარდეს კვლევა/ გამოკითხვა შპრიცების ხარისხის დამაკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მიერ.

ქსს დაეთანხმა წარმოდგენილ რეკომენდაციას. გამოკითხვის ჩატარების ვადები განისაზღვრა როგორც არა უგვიანეს 2016 წლის აპრილისა.

მე-7 პერიოდის დეშბორდი თანდართულია.

თამარ გაბუნია –სიტყა გადასცა **ბ-ნ კუჭუხიძეს.**

გიორგი კუჭუხიძე - დეტალურად წარადგინა, განსკუთრებით ახლად არჩეული წევრების საყურადღებოდ, დეშბორდის მახასიათებლები. ამის შემდეგ, წარადგინა მე-7 პერიოდის დეშბორდის (2015 წლის ოქტომბერი - დეკემბერი) ფინანსური, მენეჯერული და პროგრამული მონაცემები. მეორე რიგის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების შესყიდვაზე საუბრისას მან ხაზი გაუსვა, რომ ხარჯები არ იქნება დაბიუჯეტებულ თანხასთან თანხვედრაში ქვეყანაში ტბ პაციენტების რიცხვის შემცირებასთან და მედიკამენტების ნაკლები ფასებიდან გამომდინარე. იგივე ფაქტორები დაკავშირებულია მხარდამჭერ ინტერვენციებთან და ლაბორატორიულ აღჭურვის შესყიდვასთან. მედიკამნტების მარაგების ამოწურვა არ არის მოსალოდნელი. ბ-ნმა კუჭუხიძემ განაცხადა, რომ კარგი შედეგები არის მიღწეული შემდეგი ინდიკატორის შესრულებაში: „ტბ რეგისტრში დაფიქსრებული აივ-ტესტირების შედეგების მქონე ტბ პაციენტების პროცენტული მაჩვენებელი“. დასახულზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ფულადი წახალისების სქემის შესრულების ინდიკატორში. რაც შეეხება შემდეგ ინდიკატორებს: „ტუბერკულოზის ყველა ფორმის დარეგისტრირებული შემთხვევების (ბაქტერიოულოგიურად დადასტურებული + კლინიკურად დიაგნოსტირებული) (ახალი და რეციდივი) რაოდენობა“, „სპეციფიურ პერიოდში ბაქტერილოგიურად დადასტურებული წარმატებულად ნამკურნალევი (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გამოსავალის კატეგორიების ჯამი: „განკრნებული“ და „დასრულებული მკურნალობა“) ტბ შემთხვევების რიცხვი“; „სპეციფიურ კალენდარულ წელიწადში პირველი რიგის მედიკამენტების სტანდარტიზირებულ მკურნალობაში ჩართული პაციენტების რიცხვი“ მათი არასრული შესრულება დაკავშირებულია ქვეყანაში ტბ პაციენტების ფაქტობრივ (შემცირებულ) რიცხვთან. გამომსვლელი შეჩერდა შემდეგი ინდიკატორის „პროცენტული მაჩვენებელი ლაბორატორიებისა რომლებმაც გაიარეს ნახველის მიკროსკოპიის გარე ხარისხის კონტროლი“ არასრულ შესრულებაზე და განმარტა, რომ აღნიშნული დაკავშირებულია რიგ ტექნიკურ მიზეზებთან. რაც შეეხება შეწყვეტილი მკურნალობის მაჩვენებელს, უნდა მოხდეს ძირითადი მიმღების მხრიდან 2015 წლის იანვარი-ივნისის პერიოდის კოჰორტაზე დაკვირვება და ანალიზი.

ირინა გრძელიძე - წარადგინა საზედამხედველო კომიტეტის რეკომენდაციები.

1. შემდეგი ინდიკატორი: „პროცენტული მაჩვენებელი ლაბორატორიებისა რომლებმაც გაიარეს ნახველის მიკროსკოპიის გარე ხარისხის კონტროლი“ შესრულება საჭიროებს შემდგომ დაკვირვებას საზედამხედველო კომიტეტის მხრიდან ტუბერკულოზის ცენტრთან ერთად.

   ქსს დაეთანხმა შემოთავაზებულ რეკომენდაციას. გადაწყდა 2016 წლის აპრილში გაიმართოს საზედამხედველო კომიტეტის და ტუბერკულოზის ცენტრის მენეჯმენტის შეხვედრა.

2. შეწყვეტილი მკურნალობის მაჩვენებელთან დაკავშირებით რეკომენდირებულია მოხდეს 2015 წლის იანვარი-ივნისის პერიოდის კოჰორტაზე დაკვირვება და კონკრეტული მიზეზების ანალიზი.

   ქსს დაეთანხმა შემოთავაზებულ რეკომენდაციას. ანგარიშგების თარიღად განისაზღვრა 2016 წლის ივნისი.

თამარ გაბუნია - სიტყვა გადასცა ქ-ნ ოლგა ფომინას გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამა - ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ! აივ-ის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის პროგრამების საერთაშორისოდან ადგილობრივ დაფინანსებაზე გადასვლის კონტექსტში დაფინანსების პერსპექტივების წარსდგენად.

ოლგა ფომინა – მიესალმა საბჭოს წევრებს და მადობა მოახსენა მათ საბჭოს სხდომაში მონაწილეობის შესაძლებლობისათვის. პრეზენტაციის წარდგენისას (პრეზენტაცია თანდართულია) ქ-ნმა ოლგა ფომინამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: პროგრამის მონაწილე ქვეყნები; ამოცანები; საქართველოში პროგრამის განხორციელების ძირითადი ნიშან-სვეტები; პროგრამის მოცვა; დონორულიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლის ეკონომიკური და პოლიტიკური წინაპირობები; რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ადვოკატირების ამოცანები. ამის შემდეგ, ქ-ნმა ფომინამ წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას 2015 წლის შემოდგომაზე საქართველოში ჩატარებული მაღალი დონის რეგიონული დიალოგის შედეგები. წარდგენილ იქნა ქვეყნის პოზიცია ზიანის შემცირების პროგრამების დონორულიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. წარდგენილ იქნა ზიანის შემცირების პროგრამების განხორციელების ბარიერები და რეკომენდაციები ეროვნული ადვოკატირებისათვის. ქ-ნმა ფომინამ ისაუბრა დასახულ სამომავლო გეგმებზე, მოსალოდნელ გამოსავლებზე და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში გარდამავალი ეტაპის დაგეგმარების უდიდესი მნიშვნელობის მიზეზებზე. ქ-ნმა ფომინამ წარადგინა TERG-ის ხელმძღვანელობით ჩატარებული მდგრადობის მიმოხილვის ძირითადი დასკვნები და იმ ქვეყნების მაგალითები, რომელთაც გლობალური ფონდის გასვლის პერიოდისათვის არ ქონდათ შემუშავებული გარდამავალი გეგმა და ასევე რეგიონში გარდამავალი პერიოდის დაგეგმვის მიმდინარე სტატუსი. ქ-ნმა ფომინამ მიმოიხილა გარდამავალი პერიოდიდან მდგრადობამდე ჩარჩო-დოკუმენტი და გარდამავალი პერიოდის და

მდგრადობის ძირითადი პრონციპები. ბოლოს, მან ხაზი გაუსვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების საერთო პასუხისმგებლობებს და გარდამავალი ეტაპის დაგეგმვის პრიორიტეტულ სფეროებს.

თამარ გაბუნია - მადლობა მოახსენა ქ-ნ ფომინას და მიმართა აუდიტორიას თხოვნით დაესვათ ქ-ნი ფომინასათვის კითხვები.

ირმა ხონელიძე - ხაზუ გაუსვა რეგიონული პროგრამის მნიშვნელობას და გამოთქვა ნაყოფიერი თანამშრომლობის გაგრძელების იმედი.

თამარ გაბუნია - სიტყვა გადასცა დამსწრეებს განცხადებებისათვის.

თაცმჯდომარის მოადგილემ გააცნო დამსწრე საზოგადოებას საქართველოშო საკანონმდებლო ატლასის დანერგვის პერსპექტივები.

აუდიტორიამ პოზიტიურად შეაფასა ეს ფასუელი შესაძლებლობა. გადაწყდა, რომ სამდივნო განმეორებით გაუიზიარებს ქსს-ს, მათ შორის ახლად არჩეულ წევრებს გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერის, ქ-ნ წოვინარ საკანიანის წერილს საქართველოში საკანონმდებლო ატლასის დანერგვის თაობაზე საბოლოო შეთანხმების მიღწევის მიზნით.

თამარ გაბუნიამ მიაწოდა დამსწრეებს ინფორმაცია ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებების თაობაზე. მან განაცხადა, რომ საქრთველოს პარლამენტი ერთობლივად აშშ-ს განვითარების სააგენტოს მიერ დაფინასებულ საქართველოში ტუბერკულოზის პრევენციის პროექტთან 2016 წლის 24 მარტს აწყობს ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და მოიწვია ქსს-ს წევრები. თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტი წარმოადგენს ბარსელონის დეკლარაციაზე ხელმომწერს და არის გლობალური ტბ-ის პლატფორმის აქტიური წევრი. დაგეგმილია ტუბერკულოზის ეროვნული პლატფორმის ჩამოყალიბება სტრატეგიის „დავასრულოთ ტუბერკულოზი 2030 წლისათვის“ მიღწევების მხარდასაჭერად.

ნათია ხონელიძე – წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას მთავრობის დადგენილების და ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტის მიერ განსაზღვრული საბწოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის პროცედურები. შეთანხმდა, რომ გადაიდგმებოდა ყველა აუცილებელი ნაბიჯი არჩევნებისათვის სათანადო მომზადებისათვის. არჩევნები გაიმართება ქ-ნ თამარ გაბუნიას მიერ თანამდებობის დატოვების განცხადების შემდეგ. დამსწრე საზოგადოებას წარედგინა და შეთანხმდა საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობის განახლების პროცედურული ნორმები და სამომავლო ნაბიჯები.

ბ-ნ დავით ანანიაშვილის ქსს-ს წევრობა გამოცხადდა დასრულებულად. ქსს-ს წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს ბ-ნი ანიანიაშვილის ქსს-ს წევრობისას და

საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნისას თავდადებას და საქმისთვის ერთგულებას. შეთანხმდა, რომ ბ-ნი დავით ანანიაშვილი დარჩება საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე კომიტეტის განახლებული შემადგენლობის შერჩევამდე და ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

ირინა გრძელიძე - გააკეთა განცხადება Euro Health Group-ის მიერ ჩატარებულ ქსს-ს ინტეგრაციის კვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. მისიის სავარაუდო თარიღებია: 9 - 13 მაისი.

წევრები მიესალმენ აღნიშნულ ინიციატივას და თანხმობა განაცხადეს მასში მონაწილეობის თაობაზე. გამოითქვა მოსაზრება მისიის თარიღების შეცვლის თაობაზე გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ 9 მაისი და 12 მაისი ემთხვევა საჯარო დღესასწაულებს საქართველოში.

თამარ გაბუნია - მადლობა მოახსენა აუდიტორიას დასწრებსათვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გადაწყვეტილებები:

1. **2016-2019 წწ აივ და ტბ პროგრამეს შორის დამატებითი თანხების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების ცვლილება;**
2. **დანართ 4-ში მოცემული სიის მიხედვით პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტქააციო კომიტეტის შემადგენლობის დამტკიცება;**
3. **ქსს-ს შემადგენლობაში წევრის სტატუსით მიღება:**

- საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი, ქ-ნი თამთა დემურიშვილი
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ქ-ნ ირინე ჯავახაძე
- ქ-ნი მადლენა ხუციშვილი - სათემო ორგანიზაცია „პაპა“
  პოზიცია: PLHIV
- ბ-ნი პაატა საბელაშვილი - MSM წარმომადგენლობა
  პოზიცია: აივ-ით დაზარარებული ჯგუფი (MSM)
- ქ-ნი იზოლეტა ბოდოკია
  აივ/შიდსის პაციენტების დახმარების ფონდი
  პოზიცია: აივ-ით დაზარარებული ჯგუფი (სხვა)

4. **ბ-ნი დავით ანანიაშვილის შეუწყდეს ქსს-ს წევრობა. ბ-ნი დავით ანანიაშვილი გააგრძელებს საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.**
5. **მე-7 პერიოდის დეშბორდის რეკომენდაციების დამტკიცება**

დანართები:

1. **პროგრამებს შორის თანხების გადანაწილების პირველადი გადაწყვეტილების ცვლილების საფუძვები;**
2. **ქსს-ს წევრების მიერ პროგრამების გადანაწილების დამტკიცების ხელმოწერილი ფორმა;**
3. **2015 წლის დეკემბრის - 2016 წლის თებერვლის საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში;**
4. **პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტს შემადგენლობა**
5. **მე-7 პერიოდის აივ-ის დეშბორდი;**
6. **მე-7 პერიოდის ტუბერკულოზს დეშბორდი;**
7. **პრეზენტაცია:** „გლობალური ფონდის რეგიონული პროგრამა - ზიანის შემცირება მუშაობს - დააფინანსეთ! აივ-ის, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის პროგრამების საერთაშორისოდან ადგილობრივ დაფინანსებაზე გადასვლის კონტექსტში

დავით სერგეენკო **ნათია ხონელიძე**

ქსს-ს თავმჯდომარე ქსს-ს ადმინისტრაციული ასისტენტი